ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3359426

ნომერი: AR1514905

თარიღი : 16.06.2017

გაცემის თარიღი : 06.07.2017

გაცნობის თარიღი : 06.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პატარიძე , მიმდებარედ (ნაკვეთი 24/010)/ ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი II , -ის პატარიძის ქუჩის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , ქუჩა პატარიძე , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- shalva cercvadze პ/ნ 01012000622
- 1 mkr,k 13,bina 80

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 მარტის №1166856 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 ივნისს AR1514905 განცხადებით მომართა მოქალაქე შალვა ცერცვაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 მარტის №1166856 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილების მიზნით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 28 მარტის №1166856 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ვაზისუბანში , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი II , -ის პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #01.17.07.024.004) მრავალფუნქციური შენობის (საოფისე, ავტოტექმომსახურება (სამრეცხაო)განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3148139 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ ბრძანებაში და დაფიქსირდა 01.17.07.024.054; 01.17.07.024.053 და 01.17.07.024.010 საკადასტრო ერთეულები, ასევე ფუნქციად მიეთითა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; ამასთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N1-626 (20.03.17.) ბრძანებით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ2-5,0-თ.
დღევანდელი მდგომარეობით განხორციელებულია მიწის ნაკვეთების გაერთიანება (საკადასტრო კოდით:#01.17.07.024.060). საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 მარტის #1-626 ბრძანებაში ცვლილების შეტანის მიზნით, კერძოდ განახლებული საკადასტრო მონაცემების (საკადასტრო კოდი:#01.17.07.024.060) დაფიქსირებისთვის განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე (ოქმი #25 22.06.2017წ.), რომელზეც გაიცა დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 მარტის №1166856 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.07.024.060 ფართობი 824 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017513066, რეგისტრაციის თარიღი 14/06/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017513066, რეგისტრაციის თარიღი 14/06/2017 წ.);
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 მარტის №1166856 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს დოკუმენტი: „1.– ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #25 (22.06.2017წ). 2.- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ივლისის 1-1539 ბრძანება (იხილეთ დანართი).
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 მარტის №1166856 გადაწყვეტილებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.